

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო

საზედამხედველო კომიტეტი

ვიზიტი ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრში

2018 წლის 16 იანვარი, 2018

ვიზიტის საიტები:

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი

ვიზიტის მიზანი:

გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე ტუბერკულოზის პროექტის მიმდინარეობის ახლოს გაცნობა და აქტივობების განხორციელებისას წარმოშობილი გამოწვევების იდენტიფიცირება.

ვიზიტის ამოცანები:

1. გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე „რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების მხარდაჭერა მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესების ღონისძიებების უზრუნველყოფა“ მიმდინარეობის მიმოხილვა;
2. ზემოაღნიშნული პროგრამის მკურნალობაზე დამყოლობის მხარდაჭერი მიდგომებთან ჰარმონიზაციის შესახებ ინფორმაციის შეკრება;
3. პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი შესაძლო გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების დასახვა.

მეთოდოლოგია:

- ✓ ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის (ტფდც) თანამშრომლებთან გასაუბრება;
- ✓ საპილოტე პროექტის განხორციელებაში ჩართულ სათემო ორგანიზაციის წევრებთან და პროექტში ჩართულ თანასწორგანმანათლებლებთან გასაუბრება.

მონაწილეები

ზაზა ავალიანი - ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი, დირექტორი

მიხეილ მაძღარაშვილი - ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი

მალხაზ დავითაშვილი - ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი

კონსტანტინე ლაბარტყავა - ახალი ვექტორი, დირექტორი

ლაშა აბესაძე - ახალი ვექტორი, ქვემო ქართლის მ.დ.გ

თამარ კაკულია - ახალი ვექტორი - სოც.მუშაკი, კონსულტანტი

ნიკოლოზ მირზაშვილი - სახედამხედველო კომიტეტის წევრი, საქართველოს პაციენტთა კავშირი

მაკა დანელია - დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის აივ პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი

თამარ ბორცვაძე - ქსს, სახედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე – ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

ზოგადი კომენტარი: 2017 წლის ივლისიდან სათემო ორგანიზაცია „ახალი ვექტორმა“ და „TB საქართველო პაციენტთა კავშირმა“ ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრთან თანამშრომლობით დაიწყო პროექტის: „რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების მხარდაჭერა მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესების ღონისძიებების უზრუნველყოფა“ განხორციელება. მისი მიზანია სათემო ჩართულობის საშუალებით ტუბერკულოზის მკურნალობაზე მყოფი MDR/XDR პაციენტების დამყოლობის გაუმჯობესება. აღნიშნული საპილოტე პროექტის საბოლოო მიზანია ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის მკურნალობის განმახორციელებელ სტრუქტურებსა და სათემო ორგანიზაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მწყობრი სისტემის შექმნას, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს პაციენტზე ორიენტირებული მიდგომები მკურნალობის დასრულების მაქსიმალურად ხელშესაწყობად.

პროექტი ხორციელდება თბილისში, რუსთავში, ბათუმში, ქუთაისსა და ზუგდიდში.

დაკვირვება: საგულისხმოა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ტუბერკულოზის კონტროლის საკითხებში საკმაოდ მოისუსტებდა. წლების განმავლობაში არ არსებობდა ფუნქციური მექანიზმები ტუბერკულოზის მკურნალობის ეროვნული პროგრამის განმახორციელებელ სტრუქტურებსა და სათემო ორგანიზაციებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, რაც თავის მხრივ, პაციენტზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვისა და გაძლიერების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. აღნიშნული საპილოტე პროექტის ფარგლებში საფუძველი ეყრება სწორედ ასეთ მიდგომას და ორიენტირებულია მოსახლეობის ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფების საჭიროებათა გადაჭრაზე. პროექტის ფარგლებში პაციენტების მხარდაჭერა ხორციელდება მულტიდისციპლინური გუნდების მეშვეობით, სადაც გაერთიანებულნი არიან ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და „თანასწორი“ მხარდამჭერები (ყოფილი ტუბ-პაციენტები ან მათი ოჯახის წევრები). ასეთი ტიპის მულტიდისციპლინური მიდგომის საშუალებით წარიმართება შესაბამისი საინფორმაციო და საგანმანათლებლო საქმიანობა, სამკურნალო რეჟიმის დაცვის მხარდაჭერა, რისკის ჯგუფებთან ადგილებზე მუშაობა, რაც რისკ-ფაქტორების აღმოსაფხვრელად და მკურნალობის პროცესის ბოლომდე მისაყვანად მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. განსაკუთრებული

ყურადღება ექცევა M/XDR-TB შემთხვევებს და სოციალურად დაუცველი და რისკის ჯგუფების წარმომადგენლებს. დაწყებიდან (2017 წლის ივლისიდან) დღემდე პროგრამაში 178 ადამიანი ჩაერთო, საიდანაც 5-მა პაციენტმა უკვე დაასრულა მკურნალობა.

ვიზიტის დროს გვქონდა შესაძლებლობა დაგვეთვალიერებინა ცენტრის ნაწილი, რომელიც „ექიმები საზღვრების გარეშე“ დახმარებით რემონტდება და განკუთვნილი იქნება მულტიდისციპლინარული შეხვედრებისათვის. აღინიშნა, რომ იგი შექმნის ხელსაყრელ გარემოს როგორც პაციენტებთან სამუშაოდ, ასევე ეროვნულ ცენტრსა და სათემო ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის უფრო გასაღრმავებლად. სივრცე იანვრის ბოლოს შევა ექსპლუატაციაში.

არსებული გამოწვევები:

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა შემდეგ გამოწვევებზე, როლებიც მნიშვნელოვანია ტუბერკულოზის მკურნალობის შედეგების გაუმჯობესებისა და სამკურნალო რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფის კუთხით:

- **პაციენტების რთული სოციალური მდგომარეობა.** პაციენტების გარკვეული ნაწილის არახელსაყრელი მატერიალური მდგომარეობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს მკურნალობის ხარისხიანად გაგრძელების კუთხით. აღნიშნულ საკითხზე რეაგირების მიზნით ხორციელდება ადვოკატირება მუნიციპალურ დონეზე იმისათვის, რათა ტუბერკულოზის მკურნალობაში ჩართულ პაციენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ ის სოციალური დახმარება და სერვისები, რომლებიც ადგილობრივ დონეზე სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობისათვის არსებობს. სათემო ორგანიზაციების განმარტებით, ამ სისტემის გამართვა საშუალებას მისცემდა პაციენტებს მოეგვარებინათ მწვავე სოციალური საჭიროებები და შეუფერხებლად წარემართათ მკურნალობის პროცესი. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან ამ საკითხებში დახმარების მზაობა არ ყოფილა.
- ყველაზე მოწყვლადი კატეგორიის პაციენტებს, რომლებსაც გააჩნიათ საკრედიტო დავალიანება ბანკების მიმართ, ხშირად ექმნებათ პრობლემები **დამყოლობის ფინანსური წახალისების დაყადაღებასთან** დაკავშირებით ბანკთან არსებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. ხშირ შემთხვევაში სოციალურ მუშაკებს უწევთ მედიაცია ბანკებთან ყადაღის მოსახსნელად, რაც კიდევ უფრო ართულებს მკურნალობის პროცესს;
- **ეროვნული უმცირესობებით** დასახლებულ რეგიონებში როგორცაა მაგ. ქვემო ქართლი, იკვეთება რუსულ ან აზერბაიჯანულ ენაზე კომუნიკაციისა და საინფორმაციო მასალების გავრცელების საჭიროება;
- ცენტრის წარმომადგენლების განცხადებით, ჯერ-ჯერობით არ არსებობს **დამყოლობის გაიდლაინი**, რაც საშუალებას მისცემდა მათ სათემო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული მხარდამჭერი ინტერვენციები ერთ სისტემაში

მიყვანათ და შეთანხმებულად, გარკვეული წესების დაცვით განხორციელებულიყო. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია.

რეკომენდაციები:

- პროგრამა პაციენტზე ორიენტირებული, მულტიდისციპლინური მიდგომის დანერგვის კუთხით მნიშვნელოვან ინტერვენციას წარმოადგენს და სასურველია პილოტის დასრულების შემდეგ მისი გაგრძელება და გაფართოვება. გარდა ამისა, პროექტი გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე სხვა პროგრამებთან ჰარმონიზების კარგ შესაძლებლობას იძლევა (მაგ., ზიანის შემცირების კუთხით), რაც სარისკო პოპულაციაზე მიმართული პრევენციული და სამკურნალო სერვისების მიწოდების ოპტიმიზაციის კარგი საშუალებაა.
- ბენეფიციართა მოსაზიდად, პროგრამაში ჩასართავად და შესატყვისი მხარდაჭერის განსახორციელებლად აუცილებელია პაციენტთა პრაქტიკულად ინფორმირება და ამისათვის კოორდინაციის გაღრმავება ცენტრსა და სათემო ორგანიზაციებს შორის რაც კიდევ უფრო გაზრდის განხორციელებული ინტერვენციების ხარისხს და გააუმჯობესებს მკურნალობის გამოსავლებს.
- სოციალური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია თვითმმართველობების დონეზე ადვოკატირების გაძლიერება, რათა მკურნალობაზე მყოფი ყველაზე მოწყვლად პაციენტები ჩაერთონ სოციალური დახმარების ადგილობრივ სისტემაში;
- ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პაციენტების უკეთ მოსაზიდად მნიშვნელოვანია შესაბამისი საკომუნიკაციო მასალების მათთვის გასაგებ ენებზე (ქართული-სომხური, ქართული-აზერბაიჯანული) შექმნა და გავრცელება;